

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურესად გაჭირვებული და მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების საკვები პროდუქტებით დახმარების 2018 წლის პროგრამა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურესად გაჭირვებული და მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების საკვები პროდუქტებით დახმარების პროგრამა.
2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 01 იანვარი 2018 წელი – 31 დეკემბერი 2018 წელი.
3. პროგრამის ბიუჯეტი: 20 000 (ოციათასი) ლარი.
4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი.
5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურესად გაჭირვებული და მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახები.

მუხლი 4. საჭირო დოკუმენტაცია და მისი წარდგენის წესი:

1. ამ პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენენ განცხადებას, განცხადებას თან უნდა დაერთოს:
 - ა) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;
 - ბ) ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში გარდაცვალების მოწმობის ასლი.
 - დ) შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის წერილობითი რეკომენდაცია, რომელიმეს მიერ ამ უფლებამოსილების განუხორციელებლობის შემთხვევაში საკმარისია ერთ-ერთის რეკომენდაცია.

მუხლი 5. საკვები პროდუქტების გაცემის წესი და ოდენობა

1. ამ პროგრამით განსაზღვრულ ოჯახებს საკვები პროდუქტები მიეცემათ შემდეგი ოდენობით:
 - ა) უკიდურესად გაჭირვებულ და მძიმე სოციალურ პირობებში მყოფ ოჯახებს არაუმეტეს 100 ლარის ოდენობით ერთჯერადად.
 - ბ) ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში არაუმეტეს 150 ლარისა;
2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის სამუშაო ჯგუფი და ამზადებს შესაბამის რეკომენდაციას მერის სახელზე.
3. სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციისა და მერის შესაბამისი გადაწყვეტილების შესრულებაზე პასუხისმგებელია ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური, რომელიც გაცემს შესაბამისი ოდენობის ტალონს და ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.
4. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე ნინო ჯანელიძე

